KAKHETI
HOSPITALITY MARKET

CUSHMAN & WAKEFIELD

July, 2020

კახეთი
სასტუმრო სექტორი

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

KAKHETI HOSPITALITY RESEARCH

Kakheti region is one of the most popular tourist destinations of Georgia among both the local and the regional visitors. Cultural and historical heritage sites, abundance of wine cellars, climate and the diverse natural landscape significantly contributed to the formation of the region as a leading tourist destination. Over the last decade, infrastructure has developed, a number of cities have been rehabilitated, new tourist locations have been created, local small and medium-sized businesses have been encouraged and the service sector has been developed, which led to job creation. Today, Kakheti's tourist locations and resorts are a favorite weekend destination for many. The proximity of the region to the capital gives it an additional advantage and encourages tourists or residents of the country for frequent visits. Cushman & Wakefield Georgia conducted a survey to find out how the Kakheti hotels have been faring during the summer season, in the framework of which both branded and non-branded hotels in the region were surveyed. The survey was conducted in the third and fourth weeks of June; participation rate stood at 85%. Participants were sampled purposively.

კახეთის სასტუმროების კვლევა

კახეთის რეგიონი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ტურისტული მხარეა, რომელიც მუდმივად იზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვიზიტორებს. კულტურულ-ისტორიულმა მემკვიდრეობის ძეგლებმა, ღვინის მარნების სიმრავლემ, კლიმატმა, თუ მრავალფეროვანმა ბუნებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი რეგიონის წამყვან ტურისტულ ლოკაციად ფორმირებას. ბოლო დეკადის განმავლობაში სწრაფად განვითარდა ინფრასტრუქტურა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა რიგ ქალაქებს, შეიქმნა ახალი ტურისტული ლოკაციები, წახალისდა ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესი, განვითარდა სერვისის სექტორი და შეიქმნა სამუშაო ადგილები. დღეს კახეთის ტურისტული ადგილები და რეზორტები ბევრისთვის შაბათ-კვირის საყვარელი ლოკაციაა. რეგიონის სიახლოვე დედაქალაქთან დამატებით უპირატესობას უქმნის მას და უბიძგებს ტურისტებსა თუ ქვეყნის რეზიდენტებს ხშირი ვიზიტებისკენ.
ზაფხულის სეზონზე კახეთის სასტუმროების ოპერირების ინდიკატორების გამოსავლენად Cushman & Wakefield Georgia-მ ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გამოიკითხა კახეთის რეგიონში არსებული როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული სასტუმროები. კვლევა ჩატარდა ივნისის მესამე და მეოთხე კვირაში და მასში მონაწილეობის მაჩვენებელმა 85% შეადგინა. გამოკითხული განთავსების საშუალებების იდენტიფიცირება მიზნობრივი შერჩევის მეთოდით მოხდა.

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

ORIGIN OF GUESTS AND VISITORS

Today the map of Kakheti region displays more than 130 tourist spots, which makes it even more attractive. 2019 turned out to be quite fruitful for the region, as last year the highest number of visits were observed in Kakheti compared to previous years. The annual growth of local visitors reached 11% compared to 2018, although it should be noted that the number of foreign visitors decreased by 17.5% compared to the same year. Such a sharp drop in foreign visitors is an impact of the 2019 Russian flight ban. Despite last year's negative picture, the number of visitors to Kakheti increased by 2.8% (83,325 visitors) in the first quarter of 2020 compared to the same period of last year. Out of this, the share of local visitors was 84% of total, while only 16% were foreigners.

According to representatives of the surveyed hotels, absolute majority of the current guests are Georgians or stranded. In 2019, the number of Georgians and foreign guests was evenly distributed among the surveyed accommodation facilities. According hoteliers, while half of the guests were Georgians, another half were from South and North America, Europe, Asia and Oceania (Korea, the Philippines and Australia).

რეგიონის ვიზიტორები და სასტუმროს დამსვენებლები

დღეისათვის კახეთის რეგიონის რუკაზე 130-ზე მეტი ტურისტული ადგილია აღნიშნული, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას. 2019 წელი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა რეგიონისთვის, ვინაიდან გასულ წელს კახეთში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა განვლილ წლებთან შედარებით. ადგილობრივი ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 2018 წელთან შედარებით 11%-ს მიაღწია, თუმცა აღსანიშნავია, რომ უცხოელი ვიზიტორების რიცხვმა 17.5% იკლო იმავე წელთან შედარებით. ასეთი მკვეთრი ვარდნა უცხოელ ვიზიტორებში არის პირდაპირი ასახვა გავრილოვის ღამისა და რუსეთიდან პირდაპირი ავიარეისების გაუქმებისა.

მიუხედავად გასული წლის ნეგატიური სურათისა, 2020 წლის პირველ კვარტალში კახეთში ვიზიტორების რაოდენობა 2.8% გაიზარდა (83,325 ვიზიტორი) წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. ამათგან, ადგილობრივი ვიზიტორების წილი სრული ტურისტების 84%-ს შეადგენდა, ხოლო უცხოელებისა მხოლოდ 16%-ს.

გამოკითხული სასტუმროების წარმომადგენელების თქმით მიმდინარე სეზონზე სტუმრების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს რეზიდენტები, ან პანდემიის პერიოდში საზღვრების ჩაკეტვის გამო ქვეყანაში დარჩენილი უცხოელები არიან. რაც შეეხება გასულ წელს, ქართველებისა და უცხოელი სტუმრების რაოდენობა თანაბრად გადანაწილდა გამოკითხულ განთავსების საშუალებებში. მათივე თქმით, სტუმრები როგორც საქართველოდან, ასევე სამხრეთ და ჩრთილოეთ ამერიკის, ევროპის, აზიისა და ოკეანეთის ისეთი ქვეყნებიდან ჰყავდათ, როგორიცაა კორეა, ფილიპინები და ავსტრალია.

15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორების საშუალო რაოდენობა თვის განმავლობაში
Monthly Average Number of Visitors of Age 15 and Older in Kakheti Region



წყარო / Source: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / National Statistics Office of Georgia

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

AVERAGE OCCUPANCY AND CHANGE IN PRICE POLICY

Despite the fact the current year started with positive dynamics, all accommodation facilities in the region were temporarily shut down due to pandemic restrictions. From the beginning of March, a massive drop in bookings began. Several hotels were still not opened during the survey period. Today, most of the accommodation facilities across the country, which were approved by relevant entities have been opened and are already actively operating due to the stable epidemic situation in Georgia.

Despite the challenges, apparently Kakheti's hotels and resorts are the most popular and attractive locations for local visitors. According to the information collected from the hoteliers the occupancy of hotels significantly differed from each other in June. During this period, the occupancy of various accommodation facilities ranged from 25% to 80%, although the average occupancy rate was 45% in the third and fourth weeks of June. Despite the high demand, the indicators for the high season in 2020 are lower than they were in the same period of 2019. Last year, the average occupancy in the Kakheti region reached 65% during the high season and stood at 28% during the low season.

საშუალო დატვირთულობა და ცვლილება საფასე პოლიტიკაში

იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე წელი პოზიტიური დინამიკით დაიწყო, პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების პერიოდში რეგიონში არსებულმა ყველა განთავსების საშუალებამ სტუმრების მიღება დროებით შეაჩერა. მარტის დასაწყისიდან, დაიწყო ჯავშნების მასიური გაუქმება. კვლევის პერიოდში სასტუმროების მცირედი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო ღია სტუმრების მისაღებად. დღეისათვის საქართველოში არსებული სტაბილური ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის მასშტაბით არსებული განთავსების საშუალებების ის დიდი ნაწილი, რომელმაც შეძლო შესაბამისი სტანდარტებით შემოწმების გავლა, გახსნილია და უკვე აქტიურად აგრძელებს ოპერირებას.

გამოწვევების მიუხედავად, კახეთის სასტუმროები და რეზორტები ადგილობრივი ვიზიტორებისათვის ერთ-ერთი პოპულარული და მიმზიდველი ლოკაცია აღმოჩნდა. კვლევაში მონაწილე რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციით, ივნისის თვეში სასტუმროების დატვირთულობა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. აღნიშნულ პერიოდში სხვადასხვა განთავსების საშუალებაში დატვირთულობა 25%-დან 80%-მდე მერყეობს, თუმცა საშუალო მაჩვენებელი ივნისის მესამე და მეოთხე კვირაში 45% იყო. მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა, 2020 წლის ინდიკატორები მაღალ სეზონზე უფრო დაბალია, ვიდრე ეს იყო 2019 წლის იმავე პერიოდში. გასულ წელს სასტუმროების საშუალო დატვირთულობამ კახეთის რეგიონში მაღალ სეზონზე 65%-ს მიაღწია, ხოლო დაბალ სეზონზე მხოლოდ 28% იყო.

საშუალო დატვირთულობა და ოთახის საშუალო ფასი 2019 წელს
Average Occupancy and ADR in 2019



Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

Kakheti Hospitality Market

With regard to the change in ADR approach of most of the hotels is the same. 82% of surveyed hotels made changes in their pricing policy and got back to the market with a reduced price. Only 18% maintained the same ADR they had set for the high season before the pandemic. According to the interviewed hoteliers the ADR in Kakheti has decreased by 37% during the season, and individually, there is a 15% to 60% drop in hotel prices. Most hotels offer special conditions and promotions to their guests, such as discount vouchers, special terms in collaboration with banks, or 2 + 1 (day) promotions.
As for last year, according to the representatives of the surveyed hotels, in 2019 the average ADR was 261 GEL for the high season and 182 GEL for the low season.

ოთახის ფასის ცვლილებასთან მიმართებაში კახეთში არსებული განთავსების საშუალებების უმეტესობის მიდგომა ერთმანეთს ემთხვევა. გამოკითხული სასტუმროების 82%-მა ცვლილება შეიტანა საფასე პოლიტიკაში და ბაზარს დაკლებული ფასით დაუბრუნდა. მხოლოდ 18%-მა შეინარჩუნა იგივე საფასო პოლიტიკა, რაც პანდემიამდე პერიოდში ჰქონდათ განსაზღვრული მაღალი სეზონისთვის. მთლიანობაში, გამოკითხული ჰოტელიერების თქმით, კახეთის განთავსების საშუალებებში მიმდინარე სეზონზე ოთახის ღირებულებამ 37%-ით იკლო, ინდივიდუალურად კი, სასტუმროებში 15%-დან 60%-მდე ფასთა კლება აღინიშნება. სასტუმროების უმეტესობა სტუმრებს განსაკუთრებულ შეთავაზებებს და აქციებს სთავაზოს, იქნება ეს ფასდაკლების ვაუჩერი, ბანკებთან კოლაბორაციით სპეციალური პირობები მომხმარებლებს, თუ 2+1 (დღის) აქციები.
რაც შეეხება გასულ წელს, გამოკითხული სასტუმოების წარმომადგენლების თქმით, 2019-ში ოთახის საშუალო ღირებულება მაღალ სეზონზე 261 ლარს, ხოლო დაბალ სეზონზე 182 ლარს შეადგენდა.



Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

COMPLETED AND PIPELINED PROJECTS

231 accommodation facilities with 1,920 rooms and 4,589 beds were registered in the region by February 2020. 15 hotels were opened in Kakheti with total of 512 rooms and 1,039 beds in 2019. Last year, the number of rooms added to the market were 27% out of total.

It should be noted that in total, 21 permits were issued for the hotel construction in Kakheti in 2019. Overall, we can attest the growing tendency in issuing permits in recent years. There is also a growing trend with regard to completed constructions. If the construction of 5 hotels were completed in 2018, this number was increased to 12 in 2019. A small drop is already reflected in the comparison of the first quarters of 2019 to 2020: 6 permits were given last year while in 2020 only 4 permits were issued.

Source: Georgian National Tourism Administration (updated on 06.02.2020)

დაგეგმილი და დასრულებული პროექტები

2020 წლის თებერვლისთვის რეგიონში 231 განთავსების საშუალება იყო დარეგისტრირებული 1,920 ოთახითა და 4,589 საწოლით. 2019 წელს კახეთში 15 სასტუმრო გაიხსნა, რომელთა ოთახების ჯამური რაოდენობა შეადგენს 512, ხოლო მათში საწოლების ჯამური რაოდენობა 1,039 (23% ზრდა). გასულ წელს, დამატებული ოთახების რაოდენობამ სრული რაოდენობის 27% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ წინა წელს კახეთში სასტუმროს მშენებლობაზე სულ 21 ნებართვა გაიცა. მთლიანობაში, გასულ წლებში ნებართვების გაცემის მზარდი ტენდენცია აღინიშნება. ასევე, მზარდი ტრენდია დასრულებულ მშენებლობებთან მიმართებაშიც. თუკი 2018 წელს 5 სასტუმროს მშენებლობა დასრულდა, ეს ციფრი გაიზარდა 12-მდე 2019 წელს. მნიშვნელოვანია, როგორ განვითარდება მოვლენები არსებული კრიზისის პერიოდში. მცირედი ვარდნა უკვე აისახება 2019 და 2020 წლების პირველი კვარტალის შედარებისას. შარშან 6 ნებართვა გაიცა, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში - 4.

წყარო: *საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (განახლებული 06.02.2020)*

კახეთის რეგიონში სასტუმროს მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და სასტუმროების დასრულებული მშენებლობების შედარება

Comparison of Permits Issued on Hotels vs Completed Projects in Kakheti Region



წყარო / Source: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / National Statistics Office of Georgia*

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

WORKFORCE AND SALARIES IN KAKHETI HOSPITALITY SECTOR

Along with the increase number of tourists in Kakheti, new accommodation and food spots are being actively developed. This was followed by an increase in employment in this field. The first sharp growth was observed in 2010, when the rehabilitation of Sighnaghi was completed. This year, the number of employees in accommodation and food establishments in Kakheti increased by 223% and amounted to 692. In 2012-2015, this figure was constantly going up. As for 2018, the number of employees in this field increased by 21% compared to 2017 and reached 2,500.

With the development of the sector, the average monthly salary of employees in this field also increased. The average monthly salary in the service sector increased by 215% to 848 GEL between 2014 and 2018, which is 35% higher than the average monthly nominal salary of employees in all other sectors in Kakheti region. Overall, according to the latest data available compared to 2017, the average monthly salary in the service sector in the region increased by 34% in 2018, while the average nominal salary of employees in Kakheti as a whole increased only by 13%.

დასაქმება და ანაზღაურება კახეთის სასტუმრო სექტორში

კახეთში ტურისტების რაოდენობის ზრდის პარალელურად, ახალი განთავსების საშუალებები და კვების ობიექტები აქტიურად ვითარდება. თავისთავად, ამას ამ სფეროში დასაქმებულების მატება მოჰყვა. პირველი მკვეთრი ზრდა 2010 წელს შეინიშნება, როდესაც დასრულდა სიღნაღის რეაბილიტაცია. ამ წელს კახეთში განთავსების საშუალებებსა და კვების ობიექტებში დასაქმებულთა რაოდენობა 223%-ით გაიზარდა და 692 შეადგინა. 2012-2015 წლებში ეს ციფრი მუდმივად მატულობდა. რაც შეეხება 2018 წელს, 2017-თან შედარებით, ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ 21%-ით იმატა და 2,500 გახდა.

სექტორის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ამ სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურებაც. 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით მომსახურების სფეროში საშუალო თვიური ანაზღაურება 215%-ით გაიზარდა და 848 ლარს გაუტოლდა, რაც კახეთის რეგიონში ყველა სხვა სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასზე 35%-ით მეტია. მთალიანობაში, ჩვენს ხელთ არსებული ბოლო წლის მონაცემების მიხედვით, 2018 წელს 2017-თან შედარებით რეგიონში მომსახურების სექტორში საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 34%-ით იმატა, ხოლო მთლიანად კახეთის რეგიონში დასაქმებულთა საშუალო ნომინალურმა ხელფასმა მხოლოდ 13%-იან ზრდას მიაღწია.

კახეთის რეგიონში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ლარში
Average monthly remuneration of employed persons in GEL in Kakheti region



წყარო / Source: *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური / National Statistics Office of Georgia*

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

CUSHMAN & WAKEFIELD

JULY, 2020

Kakheti Hospitality Market

CHALLENGES AND PERSPECTIVES

Kakheti is known with its hot and dry climate, so most of the hotels in the region own a swimming pool. Having such infrastructure has always been a source of additional income for all the hotels as the number of one-day visitors increase dramatically during the weekends. Due to the current regulations, the distance between the visitors of the pool has been determined and the protocol of hygienic and sanitary norms has been tightened. This led to both - an increase in hotel operating costs as well as a decrease in overnight visitors which directly affects the hotel revenue.
Seminars and trainings are allowed to be held in the open space from mid-June, while from July 13 it is already permitted to organize cultural events in such space. The lifting of regulations had a positive impact on hotels in terms of MICE direction. According to the interviewed hoteliers, the demand for event spaces, open restaurants and cafes has already appeared. Several hotels have already hosted a number of conferences and trainings for both local companies and international organizations.

გამოწვევები და პერსპექტივები

კახეთი გამოირჩევა ცხელი და მშრალი კლიმატით, ამიტომ რეგიონში წარმოდგენილი სასტუმროების უმეტესობას გააჩნია საცურაო აუზი. მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურის არსებობა ყველა მათგანისთვის მუდმივად წარმოადგენდა დამატებითი შემოსავლის წყაროს, ვინაიდან კვირის ბოლო დღეებში მკვეთრად მატულობდა ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა.
დღესდღეობით, შენარჩუნებული რეგულაციებიდან გამომდინარე, განისაზღვრა აუზზე ვიზიტორებს შორის დასაცავი დისტანცია და მკვეთრად გამკაცრდა ჰიგიენური და სანიტარული ნორმების პროტოკოლი. ამან გამოიწვია როგორც სასტუმროების საოპერაციო ხარჯების ზრდა, ასევე ერთდღიანი ვიზიტორების შემცირება, რაც პირდაპირპროპორციულია სასტუმროს შემოსავლების კლებასთან.
ივნისის შუა რიცხვებიდან ნებადართული გახდა ღია სივრცეში სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება, ხოლო 13 ივლისიდან უკვე შესაძლებელია ასეთ სივრცეში კულტურული ღონისძიებების ორგანიზება. რეგულაციების შემსუბუქება მალევე პოზიტიურად აისახა სასტუმროს MICE მიმართულებაზე. გამოკითხული ჰოტელიერების თქმით, უკვე გაჩნდა მოთხოვნა ღონისძიებების სივრცეებზე, ღია რესტორნებსა და კაფეებზე. რამდენიმე სასტუმრომ უკვე უმასპინძლა რიგ კონფერენციასა და ტრენინგს როგორც ადგილობრივი კომპანიებისათვის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.

Copyright © 2020 Cushman & Wakefield. All rights reserved. Publication Date 07.2020

Kakheti hotel sector is in an advantageous position compared to other regions due to its location and proximity to the capital. The closure of borders and the sharp decline in foreign visitors have affected the hotel sector, although the lifting of regulations has led to a steady increase in visitors. At the same time, the opening of borders for several countries from September the 1st and the resumption of flights create additional optimistic expectations for hoteliers. The annual growth of domestic tourism and the fact that the country's borders remain closed to Georgian citizens, makes it more likely that the number of local visitors to Kakheti region will increase during this season.

The length of Kakheti seasonality also creates optimistic expectations for the representatives of the hotels in the region. Vintage season, the abundance of traditional events and festivals make the first two months of autumn busier than July and August. In addition, it's expected that the lifting of restrictions will increase hotel occupancy, as well as the ADR of hotels in Kakheti.

კახეთის სასტუმრო სექტორი სხვა რეგიონებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაშია გამომდინარე მისი ადგილმდებარეობიდან და დედაქალაქთან სიახლოვიდან. საზღვრების ჩაკეტვამ და უცხოელი ვიზიტორების მკვეთრმა შემცირებამ გავლენა მოახდინა სასტუმრო სექტორზე, თუმცა რეგულაციების მოხსნას სტუმრების მდგრადი ზრდა მოჰყვა. ამასთან, პირველი სექტემბრიდან გარკვეული ქვეყნებისთვის საზვრების გახსნა და ავიარეისების აღდგენა დამატებით ოპტიმისტურ მოლოდინებს ქმნის ჰოტელიერებისთვის. შიდა ტურიზმის ყოველწლიური ზრდისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის საზღვრები კვლავ დაკეტილი რჩება, მეტად სავარაუდოა, რომ მიმდინარე სეზონზე კვლავ გაიზრდება ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა კახეთის რეგიონში.

ოპტიმისტურ მოლოდინებს რეგიონის სასტუმროების წარმომადგენლებისთვის ასევე კახეთის სეზონურობის ხანგრძლივობაც ქმნის. რთველის სეზონი, ტრადიციული ღონისძიებების სიმრავლე, თუ ფესტივალები იწვევს იმას, რომ რეგიონში არსებული სასტუმროებისთვის შემოდგომის პირველი ორი თვე ხშირ შემთხვევაში უფრო დატვირთულია, ვიდრე ზაფხულის თვეები.

ყოველივე ამას ემატება შეზღუდვების მოხსნის მოლოდინები, რომელიც გაზრდის სასტუმროს დატვირთულობას. ასევე მოსალოდნელია ოთახის საშუალო გასაყიდი ფასის მატება და რეგულაციების შემსუბუქების ხარჯზე საოპერაციო ხარჯების შემცირება.

Tekla Iashagashvili, Head | Development Advisory
+995 322 47 48 49
tekla.iashagashvili@cushwake.ge

Gvantsa Potskhveria, PR and Marketing Manager
+995 599 014 444
gvantsa.potskhveria@cushwake.ge

Veritas Brown Caucasus LLC is a third-party non-owned affiliate of Cushman & Wakefield (C&W), licensed by C&W to use the Cushman & Wakefield brand and trademarks. Accordingly, this engagement is with Veritas Brown and not with any member of the Cushman & Wakefield group of companies. Whilst Veritas Brown carries out real estate services in accordance with C&W's best practice guidelines, Veritas Brown's work in carrying out this engagement will be undertaken independently of C&W and accordingly, C&W accepts no responsibility for the services provided by Veritas Brown, which are not underwritten or guaranteed by C&W